დანართი N1

შპს ,,ნერგებში“
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესს.
2. წინამდებარე წესის მიზანია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები

2.1. სკოლა ყოველდღიურად ლაგდება/სანიტარულად მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად.

2.2. დალაგება/სანიტარული დასუფთავება ხდება სადეზინფექციო საშუალებებითა

2.3. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სივრცეში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

2.4. სადეზინფექციო საშუალებები გამოიყენება ეტიკეტზე მითითებული ინსტრუქციის/ანოტაციის შესაბამისად.

2.5. ყოველკვირეულად ტარდება კომპლექსური, ხოლო თვეში ერთხელ - შენობის გენერალური დასუფთავება;

2.6. დერეფნები, საკლასო ოთახები, კაბინეტები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობ(ებ)ის დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში. ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა).

2.7. ფანჯრები იწმინდება დაბინძურების შესაბამისად.

2.8. სანიტარიული კვანძები მუშავდება სადეზინფექციო საშუალებებით ყოველი შესვენების შემდეგ; დღის ბოლოს, ირეცხება ჯაგრისით, სარეცხი საშუალებით და მუშავდება სადეზინფექციო ხსნარით.

2.9. სახელურები და მოაჯირები სადეზინფექციო ხსნარებით მუშავდება რამდენიმეჯერ დღეში;

2.10. სამედიცინო კაბინეტი ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;

2.11. კვების ბლოკში ზედაპირები მუშავდება სადეზინფექციო საშუალებებით დილით და საჭიროებისამებრ, ხოლო ინვენტარი და ჭურჭელი ყოველი გამოყენების შემდეგ. იატაკი ირეცხება დღის ბოლოს სადეზინფექციო ხსნარის გამოყენებით.

2.12. სკოლის დასუფთავებისათვის გამოიყენება სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. დღის ბოლოს ტილოები ირეცხება სარეცხი ფხვნილით.

2.13. ნაგავი იყრებ ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერში.

2.14. სკოლაში ხორციელდება წყლის პერიოდული კონტროლი/ანალიზი სპეციალიზებული ლიცენზირებული ლაბორატორიის მიერ.

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

3.1. სკოლის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტოროლი ევალება სკოლის ექიმს.

3.2. წინამდებარე წესს ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით;